# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N ს13

ქ. თბილისი 05.03.2018 წელი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,საჩუქრები 95" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის სერგო გეგეჭკორის სახით, ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მესამე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

## 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

## 3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სუვენირების სახელმწიფო შესყიდვა, შემდგომში საჩუქრად გადასაცემად. (CPV- 18500000).

| N | საქონლის დასახელება | განზ. ერთ | რაოდენობა | ერთ.ფასი | ჯამი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყანწი წყვილი, ჩიკანკით | ც | 1 | 30 | 30.00 |
| 2 | ყანწი მეტალის ჩიკანკით | ც | 1 | 45 | 45.00 |
| 3 | მოკლე ხმალი | ც | 1 | 195 | 195.00 |
| 4 | ნაკრები ღვინით და ქვევრით | ც | 1 | 60 | 60.00 |
| 5 | ხანჯალი მელქიორის, დაფაზე | ც | 1 | 45 | 45.00 |
| ჯამი | | | | | 375.00 |

3.2. თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი, თუ ის შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 375.00 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - ლევან მიქაბერიძე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, საქონლის სრულად მიწოდების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილია სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი - ზვიად ძაბირაძე.

## 7. მიწოდების ვადა, გარანტია და ადგილი

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2018 წლის 09 მარტის ჩათვლით.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების N32 (სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საწყობი)

## 8. ანგარიშსწორების წესი

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
8.4. დაფინანსების წყარო: სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის 2018 წლის საკუთარი სახსრებით (100%).

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
9.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
11.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგასაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.3 სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
12.5 თუ მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს არ დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.
12.6 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიმწოდებელს წარმოეშობა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს პირგასამტეხლოს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან და მიმართოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.
12.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

## 14. დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #32

**მიმწოდებელი:**
შპს ,,საჩუქრები 95"
ს/კ 203826654
მის: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№26
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE84BG0000000346237500

---

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

---

სერგო ბებეჭკორი
დირექტორი

# ხელწერილი

05.03. 2018 წ

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, **სუვენირების** სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

| (სახელი, გვარი) | (ხელმოწერა) |
|---|---|
| გიორგი კაკაურიძე | |
| მარიანა გამჯაშვილი | |
| ნაილი კბილაძე | |
| ზვიად ძაბირაძე | |
| ვახტანგ გარდაფხაძე | |
| ლევან მიქაბერიძე | |